

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N#008/14¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ მალაზონია (სტუდენტი)

შეკითხვა:

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე იცავს ბრალდებულის ინტერესებს. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია ბრალდებულის დედასთან. ბრალდებულს სურს გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება, მაგრამ ბრალდებულის დედა წინააღმდეგია. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს, თუ ბრალდებულის ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს?

ანალიზი:

კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ფარგლებში და განმარტა აპეკ-ის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობად ითვლება ისეთი ურთიერთობაც, სადაც ადვოკატი ვარაუდობს რომ შეთანხმებას დებს კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირთან. ბრალდებულის დედასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ადვოკატი იცავს ბრალდებულის ინტერესებს ანუ მისი კლიენტი არის ბრალდებული, და არა ბრალდებულის დედა.

დასკვნა:

ადვოკატმა უნდა იმოქმედოს თავისი კლიენტის - ბრალდებულის ინტერესების შესაბამისად.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91ec47d8710.pdf/25%20April%202014%20008.14.pdf>